ოშო / OSHO

საწყისთა საწყისი

The Beginning of the Beginning

საუბრები, გამართული

1969 წლის 25-დან 27 თებერვლამდე

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი – 2022

ადამიანი განუწყვეტლივ ძიების პროცესშია და ცდილობს გაიგოს რა არის ის ჭეშმარიტება, რამაც მისი და სამყაროს არსებობა განაპირობა. ხშირად, მავანი ყოველივე არსებულს ლოგიკურ ახსნას უძებნის, არგებს იმ რეალობას, რაშიც იმყოფება და შესაძლო დასკვნებს აკეთებს, თუმცა ძიების პროცესში ავიწყდება, რომ ძიება საკუთარი თავიდან და საკუთარ თავში უნდა დავიწყოთ, რამეთუ „ჭეშმარიტების ძიების პირველი წესი იმაში მდგომარეობს, რომ თამაშად მივიჩნიოთ ის, რასაც ცხოვრებაში რეალობად განვიხილავთ! მხოლოდ ამის შემდეგ გამოავლენს თავის თავს ჭეშმარიტება!“

ძალაუფლების სტრუქტურები, ნაციონალიზმი, იდენტობა, კულტურა თუ სხვა არის ის მახასიათებლები, რომლებიც კაცობრიობას ჯგუფებად ყოფს, რის შედეგადაც ყველა მათგანს განსხვავებულად ესმის ის უნივერსალური საკითხები, რამაც ეს სტრუქტურები და ჩვენი არსებობა ამ გარემოში განაპირობა.

თუ ვინ ვართ ჩვენ, საიდან მოვდივართ და რა მნიშვნელობას ატარებს ჩვენი ყოფიერება – ეს ის საკითხებია, რომელსაც ადამიანი თავისი გააზრებული ცხოვრების განმავლობაში კვლევის საგნად აქცევს და სწორედ ამის გამორკვევას ცდილობს ოშო წიგნში – „საწყისთა საწყისი“.

მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2022 წელი
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-4884-1

სარჩევი

თავი 1. დამოკიდებულებიდან ჭეშმარიტებისკენ 5
თავი 2. ცდომილებიდან ჭეშმარიტებისკენ 30
თავი 3. რწმენიდან ჭეშმარიტებისკენ 54
თავი 4. სიზმრებიდან ჭეშმარიტებისკენ 83
თავი 5. სიცარიელიდან ჭეშმარიტებისკენ 108

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები 141

თავი 1. დამოკიდებულებიდან ჭეშმარიტებისკენ

25 თებერვალი, 1969

ხის ტოტზე მხიარულად მგალობელი ჩიტის სიმღერით მოხიბლულმა მეფემ დააჭერინა ის და გალიაში ჩასვა. სიმღერაც კი შეცდომაა არასწორი ხალხის გარემოცვაში. საბრალო ჩიტი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ გალობა გისოსებს მიღმა ამოაყოფინებდა თავს! ჩიტი, რომელიც თავისუფლად დაფრინავდა ზეცაში და ტოტიდან ტოტზე სურვილისამებრ ხტოდა, ახლა ოქროს გალიაში იჯდა, რომელიც ძვირფასი ქვებით იყო მორთული. მაგრამ რას ნიშნავს ძვირფასი ქვები მისთვის, ვინც ზეცის თავისუფლებას გაუგო გემო? – გალია გალიაა, სულ ერთია, ოქროსი იქნება თუ რკინის.

ჩიტი გამუდმებით ტიროდა, მაგრამ მეფეს და მის ამალას ეგონათ, რომ ის მხიარულებისგან გალობდა. ზოგ ადამიანს შეუძლია ჩიტის მსგავსად ტირილი, მაგრამ მათ, ვისაც ამის აღქმა არ შეუძლიათ, ეს მხიარულების გამოხატულებად ეჩვენებათ. ჩიტის გული ტკივილითა და შიშით იყო აღსავსე და ის ფიქრობდა: „ნუთუ ემახსოვრება ჩემს ფრთებს ფრენა, თუ ამ გალიაში დიდხანს მომიწევს ყოფნა?“ თუ ცა დაავიწყდება, მაშინ რაღა ფასი აქვს გალიიდან განთავისუფლებას?!

მხოლოდ მათ იციან, რა არის ეს, ვისაც სულში თავისუფლების ცოდნა და სიხარული გააჩნია. მხოლოდ დამოუკიდებლობის მოპოვებით თავისუფლებას ვერ შეიცნობ. ჩიტი მანამ ესწრაფოდა თავისუფლებას, სანამ ცის შესახებ მოგონება დაავიწყდებოდა.

ერთ დილას მას ბერის სიმღერა მოესმა: „ვინც განთავისუფლებას ეწრაფვის, მისთვის ერთადერთი გზა არსებობს, ჭეშმარიტების გზა. ვინც თავისუფლებას ეწრაფვის, მისთვის ერთადერთი გზა არსებობს, ჭეშმარიტების გზა. და, რა არის ჭეშმარიტება?“ – კითხულობდა გლახა სიმღერაში. „ჭეშმარიტებაა საგნების ისე დანახვა, როგორიც ისინი არის; ისე შეცნობა, როგორც ისინი სინამდვილეში არსებობს და მცდელობა ცხოვრებისა მათთან ერთად, როგორიც ისინი არის და ავლენს საკუთარ თავს – ეს არის ჭეშმარიტება. ხოლო ის, ვინც ჭეშმარიტებას მიაღწევს, განთავისუფლდება!“

ასეთი იყო ბერის სიმღერა და ასე მღეროდა ის ქუჩებში ყოველდღე. არავინ აქცევდა მას ყურადღებას, გარდა პატარა ჩიტისა, რადგან ჩიტს ჯერ კიდევ ახსოვდა სივრცეში ფრენის სიხარული. ადამიანს ეს უკვე აღარ ახსოვს. ადამიანს სრულად დაავიწყდა თავისი ფრთები, რომლებსაც ის ფლობდა და რომლებსაც უცნობ მხარეში მისი გადაყვანა შეეძლო.

წმინდანები და წინასწარმეტყველები ოდესღაც დაუღალავად მოუწოდებდნენ ადამიანს, მაგრამ არავის ესმოდა. ეს პატარა ჩიტი კი მიუხვდა ბერს და იმავე დღეს გადაწყვიტა, ეცადა...

მეფე დარბაზში იმყოფებოდა, როდესაც ვიღაც მივიდა მის სანახავად. მან მსახურის სახით შეუთვალა, რომ ადგილზე არ იყო. ჩიტმა დაიყვირა: „არა, არა! მეფე თავის სასახლეშია და დაცვას უბრძანა, ეთქვა, თითქოს შინ არ არის!“ მეფე განრისხდა.

ადამიანებს არ მოსწონთ, როდესაც სხვები სიმართლეს ამბობენ, რადგან ყველა ადამიანი სიცრუესა და სიყალბეში ცხოვრობს. ხოლო ისინი, ვინც ძალაუფლებას ფლობს, იქნება ეს სამეფო ძალაუფლება, მონეტარული თუ რელიგიური, ვინც რაიმე სახის ძალაუფლებას ფლობს, უკმაყოფილოა ჭეშმარიტებით, რადგან ძალაუფლება ყოველთვის სიცრუის ტახტზეა დაბრძანებული. შესაბამისად, ძალაუფლების მქონენი ყოველთვის მსხვერლად სწირავენ ჭეშმარიტებას, რადგან, თუ მას არსებობის უფლებას მიანიჭებენ, ის ჯვრად იქცევა მმართველებისთვის.

მეფემ ბრძანა, დაუყოვნებლივ მოეშორებინათ ჩიტი. როგორ შეიძლება, რომ ჭეშმარიტება სასახლეში ბინადრობდეს? ჭეშმარიტების ადგილი ხის ტოტზეა, მაგრამ მეფის განსასვენებელში – ნურას უკაცრავად. ჩიტი მოისროლეს დარბაზიდან, მაგრამ სწორედ ეს იყო მისი სანუკვარი სურვილი! განთავისუფლებული, ის ცეკვას მოყვა და თქვა: „ბერი მართალია – თუ თავისუფლება გსურს, ერთადერთი გზა ჭეშმარიტებაა!“

შორიდან მას თუთიყუში უმზერდა, რომელმაც ბრძანა: „უგნურო ჩიტო, ოქროს გალია დაკარგე და გიხარია? არავის უმართლებს ასე! მისი მოპოვება ჩვენი წარსული ცხოვრების ქველი საქმეებით ხდება. მაგრამ შენ, უმეცარო ბრიყვო, არაფერი იცი ოქროს გალიაში ცხოვრების ხელოვნების შესახებ. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი წესი ზუსტად იმის კეთებაა, რასაც ბატონი გეუბნება ისე, რომ არ იფიქრო, რა არის სწორი და არასწორი, რადგან ის, ვინც ასეთ შეცდომაში ვარდება, ვეღარ დარჩება გალიაში. ფიქრი იწვევს ამბოხებას და ყოველი, ვინც აზროვნებას იწყებს, ვეღარ დარჩება ტყვეობაში. რატომ დაუშვი ეს შეცდომა და რატომ დაიწყე ფიქრი, სულელო ჩიტუნავ? ფიქრი სახიფათოა. გონიერი ადამიანები არასოდეს ფიქრობენ. ისინი საკუთარ

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი

7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება

9. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – უკმაყოფილება კულტურით
12. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
13. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
14. ზიგმუნდ ფროიდი – ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია

15. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
16. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

17. ბერტრან რასელი – ესეები
18. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი

19. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
20. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია

21. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი
22. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
23. ერიხ ფრომი – ადამიანის სული

24. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
25. სვამი ვივეკანანდა – ბჰაქთი-იოგა
26. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
27. სვამი ვივეკანანდა – პატანჯალის იოგა სუტრა
28. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
29. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

30. მერაბ მამარდაშვილი – კარტეზიანული განაზრებანი
31. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
32. მერაბ მამარდაშვილი – ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
33. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

34. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე

35. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
36. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

37. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
38. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
39. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
40. ჯიდუ კრიშნამურტი – პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

41. ოშო – საწყისთა საწყისი
42. ოშო – სიყვარულის ძალა
43. ოშო – რა არის მედიტაცია?
44. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

45. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
46. დ. ჰ. ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

47. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
48. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჯულება

49. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ
50. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ

51. გიორგი გურჯიევი – გრძნეულთა ბრძოლა
52. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
53. გიორგი გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“
54. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი I-IV

55. ეკჰარტ ტოლე – აწმყოს ძალა
56. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა

57. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
58. ნონა ხიდეშელი – Carpe diem

59. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
60. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
61. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

62. ჯონ სტიუარტ მილი – სოციალიზმი
63. ჯონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ
64. ჯონ სტიუარტ მილი – ქალთა დაქვემდებარება

65. დევიდ ჰიუმი – რელიგიის ბუნებრივი ისტორია
66. ლუდვიგ ბინსვანგერი – ეგზისტენციალური ანალიზი

67. გაბრიელ მარსელი – იყო და ფლობდე
68. არმინ ნავაბი – რატომ არ არსებობს არავითარი ღმერთი